მემორანდუმი

ქალაქი ქუთაისი

02 ნოემბერი 2020წ.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, წარმომადგენელი, მერის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი დავით ერემეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის“ წარმომადგენელი, მისი დირექტორის ქალბატონი ნინო ჩალაძის სახით, ვაცნობიერებთ, რომ კორონავირუსის პანდემია სერიოზული გამოწვევაა და შეიძლება ის კიდევ უფრო დამძიმდეს, ვაფორმებთ ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი სახის მემორანდუმს.

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი.

1.1 მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, შპს შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის“ მიერ ე.წ. „ქოლცენტრის“ შექმნა, მოქალაქეთა სრულფასოვანი სამედიცინო კონსულტაციის გაწევის მიზნით.

1.2 კორონავირუსის პანდემიით შექმნილი ვითარების უკეთ მართვა.

მუხლი2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, იღებს ვალდებულებას, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეუწყოს შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკას“ შექმნილი ე.წ. „ქოლცენტრის“ საქმიანობასა და დაფინანსების ფარგლებში, ე.წ. „ქოლცენტრის“ არსებობის ვადით გაუწიოს დახმარება 159000.0 (ასორმოცდაცხრამეტიათასი) ლარის ოდენობით.

2.2. შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ იღებს ვალდებულებას თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარება გაამართლოს და შექმნას წარმატებული, მოქალაქეებზე ორიენტირებული ე.წ. „ქოლცენტრი“.

2.3. შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ იღებს ვალდებულებას მოახდინოს თანადაფინანსების ფარგლებში ჩარიცხული თანხების სწორი და ეფექტური ორგანიზება.

2.4. შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“ იღებს ვალდებულებას კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით, დაიცვას უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები.

მუხლი 3. მემორანდუმის შედეგები.

3.1. ე. წ. „ქოლცენტრის“ მეშვეობით კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შემცირება და პანდემიის დასრულება, ნაკლები დანაკარგებით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების მიზანი ისეთი ურთიერთთანამშრომლობის დამყარებაა, რომელიც მხარეთა შორის რეგულარულ თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული.

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოიცავს პერიოდს 2020 წლის 02 ნოემბრიდან 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

მემორანდუმი შედგენილია და დაბეჭდილია 2 (ორი) ეგზემპლარად.

ხელმოწერა

ხელმოწერა

დავით ერემეიშვილი	ნინო ჩალაძე
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის	შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკის
მერის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორი
ს.ნ 212 721 170	ს.ნ 212 670 796
მის. ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3	მის. ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა N46ბ.